

F 128  
1909



სამეურნეო ჟურნალი

მოსაკაღი

→ 1909 ←

5468

354

სამეურნეო ჟურნალი

F 128  
1909

# გოგონა


წელიწადი პირველი

1909 წელიწადი—14 მაისი—№ 1.

F 390

## შინაარსი

რედაქციისგანით . . . . .	მიმართვა . . . . .	3
ე. იოსელიანი . . . . .	მეურნეს მეურნეობაზე . . . . .	4
ს. ხუნდაძე . . . . .	„მოსავალი“—სათვის . . . . .	5
მ. მამულაშვილი . . . . .	ხეში შრომის პირველი ნაბიჯი მცხეთაში . . . . .	7
პ. ავერკინი . . . . .	მევენახეთა საეურადღებო კითხვა კახეთში . . . . .	8
ვ. მჭედლიშვილი . . . . .	კრიზისი მეღვინეობისა კახეთში . . . . .	9
გ. ნახუცრიშვილი . . . . .	მეურნეობის მტრები . . . . .	12
ვ. შ—ელი . . . . .	ხეხილმა რაღა დააშავა . . . . .	13
კითხვა და პასუხი . . . . .		15
საყურადღებო ცნობები . . . . .		16
განცხადებანი . . . . .		16



ტფილისი

ელექტრო-მბეჭდავი წიგ. გამომც. ქართ. აზნ—სა.

1909

# სამეურნეო ჟურნალი

## მოსაკალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წელიწადში ჟურნალი ღირს.....	3 მ ნ.
მდგომარე წლის პირველ იანვრამდე.....	2 მან.
ცალკე ნომერი ხელზე გასასყიდად.....	10 კაბ

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: — ავერკიზი პ., ბერეკაშვილი გ., გვერდწითელი პ., გოგნიევი ლ., გოგინიშვილი ფ., გულისაშვილი ზ., დედაბრიშვილი შ., ეირანოვი ს., ვაჟა-ფშაველა, იოსელიანი ე., კარბელაშვილი ე., კალანდაძე ნ., ლორთქიფანიძე პ., მაჭარაშვილი ნ., მოსეშვილი ი., მრეველიშვილი გ., მეურნალი ნ., მურვანიშვილი მ., მჭედლიშვილი ვ., მამულაშვილი მ., ნანყიშვილი მ., ნახურიშვილი გ., ნასარაძე ს., ქვარიანი ს., ელილაშვილი ზ., დგოსაფაროვი კ., ზაალიშვილი მ., ჯაფარიძე გ., ყაფრიშვილი ნ., ჩოლოყაშვილი ს., რაზიკაშვილი თ., რცხილაძე ვ., ხუნდაძე ს., ციმოფევეი ს., სააკოვი ა., ქარცივაძე მ.

რედაქცია მოკლის სსკებიდგანაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას

მოკრე ნომერი ჟურნალისა იმათ გაეგზავნებათ. ვინც ადრეს და ჟურნალის ფას გამოგზავნის.

### თანამშრომელთა საშუალებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გამოსტუმრება სარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩნ) წლის დამდეგს დაურიკდებათ თანამშრომლებს პრემიონდრად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდათ მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კარესპონდენციები, რომელებიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.


რედაქცია იმეოფება აღექსნდროვის ბაღში, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში.

რედაქტორის ნახვა შეიძლება 2—3 საათამდე, კვირა-უქმე დღეების გარდა.

რედაქციის ადრესი წერილებისათვის და ტელეგრამებისათვის: Тифлисъ „Мосавали“ Барятинская, 5.

რედაქტორი-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე.

# რედაქციისგან \*



ჩვენი პატარა და მრავალ-ფერ ბუნე-  
ზოვანი საქართველო უხსოვარ დროი-  
დან ცნობილია როგორც მეურნეობის  
ქვეყანა.

ეს მეურნეობა მთავარი ძარღვია ჩვე-  
ნი ხალხის ცხოვრებისა დღესაც. ქარ-  
თველი ადამიანის კეთილ-ყოფიერება  
დღესაც მეურნეობის სელა-წარმატე-  
ბასთან არის დაკავშირებული, რადგან  
ყოველი ჩვენთაგანი თუ პირადად არა,  
ჩვენი მახლობელი ნათესავნი მაინც  
წლითი-წლობით ჯამოდიან მეურნეო-  
ბით.

უხვი, მდიდარი, მაღლიერი ბუნება  
ჩვენის ქვეყნისა ხელის შემწყობია მე-  
ურნეობის ყოველგვარი დარგისა; თვით  
ცხელი ქვეყნის მცენარეებიც-კი — ჩაი,  
ლიმონი, ფორთოხალი -- ადვილად ეთვი-  
სებიან აქაურ ჰავას, მაგრამ მიუხედა-  
ვად ამ საარაკო ბუნებრივი სიმდიდრე-  
ნაყოფიერებისა, მეურნეობა ჩვენში  
დღესაც განვითარების უდაბლეს საფე-  
ხურზედ დგას და ფრიად სავალალო  
სანახავს წარმოადგენს.

მეცნიერებამ-კი მეურნეობის განვი-  
თარებაში დევის ნაბიჯი გადასდგა და  
მრავალი ახალი, ძველთათვის სრულიად  
უცოდინარი, გზა გამონახა და აგრედვე  
მრავალი ძველი საშუალება გააუმჯო-  
ბესა და განავითარა. დაწინაურებულმა

ქვეყნებმა კიდევაც უსარტგებლეს ამ გა-  
მოკვლევებით და მეურნეობის რიგიანი  
წარმოებით თავისი ეკონომიური ცხოვ-  
რება ბევრად გააუმჯობესეს, გააღრმავ-  
რეს.

ჩვენი სამშობლო ამ მხრივაც ძლიერ  
ჩამორჩენილია განათლებულ ქვეყნებს  
და თუ უმთავრესი არა, ერთი მთავარი  
მიზეზთაგანი ჩვენი ეკონომიური უძ-  
ლურებისა ამ გარემოებაში იხატება.

რატომ? განა არა გვეყვანან ისეთი  
ცოდნა-მომზადებით აღჭურვილნი პირ-  
ნი, რომელთაც შეუძლიანთ სამეურ-  
ნეო გზა გაუნათონ ჩვენს ჩამორჩენილ  
სოფლის მეურნეს? დიდაც გვეყვანან,  
მაგრამ მათი დაქსაქსულობა, მათი  
ცალკ-ცალკე და კერძო მოქმედება ვერ  
სწვდება ჩვენი ქვეყნის სივრცეს, ვერ  
უწევს მის გულსა და ამიტომაც თუ  
სრულიად უნაყოფოთ არა, მცირე  
უმნიშვნელო ნაყოფიერებით კმაყოფილ-  
დება.

საჭიროა, ვფიქრობთ, ამ პირთ შე-  
კავშირება, მათ ცოდნა-გამოცდილების  
ერთ ლამპრათ შეერთება, რომ სი-  
ნათლევ ამ ლამპრისა ძლიერი სხი-  
ვით შეიჭრას ჩვენი ქვეყნის სიბნელე-  
ში და შეანათოს მეურნე გლეხის ოჯა-  
ხის თვით გუოში.

ამ მიზნის მისაღწევად ქართველ მე-  
ურნეთა ერთმა ჯგუფმა განიზარახა სამე-  
ურნეო ჟურნალის გამოცემა, რომლის  
დანიშნულება იქნება მიაწოდოს ჩვენ  
ხალხს ადვილ გასაგები, მარტივი ენით  
დაწერილი საჭირო ცნობები მეურნეო-  
ბის ყოველი დარგიდან, შემოიკრიბოს  
თავის გარშემო ცოდნა-გამოცდილებით  
აღჭურვილი მეურნენი და საერთო ძა-

\*) ეს წერილი ცალკე დაბეჭდილი მივაწუ-  
დინეთ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთებს. ხელმეო-  
რედ ვბეჭდავთ მათ საყურადღებოთ, ვისაც უნა-  
რი და სურვილი აქვს მიიღოს მონაწილეობა  
ამ ჩვენს გამოცემაში თავისი თანამშრომლო-  
ბით ან თანაგრძნობით და ჩვენის უცნობა-  
ბით ან აღრესის უცოდინარობით არ მისვლია  
ეს წერილი. რედაქცია.

ლით გაუძღვეს სოფლის მცხოვრებთა ეკონომიურ გაუმჯობესობის საქმეს.

ამასთანავე მოგვეყვას ჟურნალის პროგრამა და ვიმედოვნებთ, რომ თქვენს გულ-წრფელ თანაგრძობას და თანამშრომლობას არ მოგვაკლებთ ამ საერთო საქმეში.

### პროგრამა

**თავი I.** სახელმწიფო განკარგულებანი, რომელნიც შეეხებიან მეურნეობასა და სოფლის ყოფა-ცხოვრებას.

**თავი II.** ხენა-თესვა, ხეხილის გაშენება, ბოსტნეულობა, თამბაქოს მოყვანა, მევენახეობა და მეღვინეობა, ტყეების დაცვა და სარგებლობა.

შინაური საქონლის მოვლა-მოშენება, რძითა და მატყლით სარგებლობა.

შინაური ფრინველების მოშენება, მეფუტკრეობა და მებაზრეშემეობა.

ხელ-საქმობა, ხელოსნობა, მადნეულობა, დარ-ამინდი, მორწყვა, სასუქი; სამეურნეო იარაღის ავ-კარგიანობა და მათი შექმნა-მოხმარება.

გზების გაყვანა და მოვლა, სამეურნეო კრედიტი, მრეწველობა, ვაჭრობა. საკრედიტო, სავაჭრო, სამრეწველო და მომხმარებელ ამხანაგობათა დაარსება.

საცადი მიწები, სასწავლო-სავარჯიშო ფერმები.

სწავლა-განათლება და სპეციალური ცოდნის შექმნა.

**თავი III.** ყველა ის, რაც სოფლის ყოფა-ცხოვრებას შეეხება.

**თავი IV.** კორესპოდენციები; სხვა და სხვა სასარგებლო ცნობები. ბიბლიოგრაფია. განცხადებანი.

**დამატება.**—პოპულიარული სამეცნიერო და სხვა წერილები.

## მეურნეს მეურნეობაზე

ქართველი მეურნე თავისი სამეურნეო იარაღით თანამედროვე სამეურნეო ტექნიკასთან შედარებით ძველთაგან ძველ დროს მოგვაგონებს. სად ჩვენი ქართული გუთანი, სად ნამგლით მკა და სად ორთქლის გუთანი, სამკალი მაშინა და სხვა.

თქმა არ უნდა, ჩვენ ჩამორჩენილნი ვართ, მაგრამ ისიც კი უნდა ვსთქვათ: რომ ქართველი მეურნე წაქცეული ხეა, ყველა ამას უჭახუნებს ცულს, მაგრამ ყველა ამ ხის ნაფოტით იხურებს კერას. განა სხვა ხალხი—სომეხი, თათარი, რუსი და, თუ გნებავთ, ნემენციც ჩვენზე ნაკლებ არიან ჩამორჩენილნი? ისინი კი სარგებლობენ თანამედროვე ტექნიკით? არა მგონია. მეურნე მარტო კავკასიაში კი არა თვით

დასავლეთ ევროპაშიაც კი, საცა ახალი სამეურნეო ტექნიკა დაიბადა, ჩამორჩენილია ამ ტექნიკას. აი მაგალითი: საქართველოში საშუალო მოსავალი პურისა დესეტინაზე ითვლება 50 ფუთი, რუსეთში—40 ფუთი, გერმანიაში და ავტსრიაში 80—100 ფ., ინგლისში—100—120 ფუთი. მეურნეს კი რომ შეეძლოს ისარგებლოს იმ ცოდნითა და ტექნიკით, რომელიც კაცობრიობას დღეს აქვს შექმნილი, საშუალო პურის მოსავალი დესეტინაზე 150—200 ფ. უნდა იყოს. ასეა ყველგან. შექმნილი კაცობრიობისაგან ტექნიკითა და ცოდნით სავსებით სარგებლობს მხოლოდ თითო-ორი განვითარებული მეურნე. კახეთში მაგალითად მხოლოდ თითო-ორი მე-

ვენახემ დაამუშავა ვაზი ისე, როგორც თანამედროვე ტექნიკა უჩვენებს მის დამუშავებას, მათ ვენახებს 800 ვედრამდე აქვთ გამოსავალი დესეტინაზე. ქართველ მევენახეთა უმრავლესობა კი დესეტინაზე 250—350 ვედრას ვერ გადასცილებია ზევით.

რათარის ხალხი ტექნიკას ჩამოარჩენილი, მეურნეობა რათა რჩება უკან, ამაზე ჩვენ ეხლა დაწვრილებით არ ვილაპარაკებთ, მხოლოდ იმას კი აღვნიშნავთ, რომ როცა ხალხი მოკლებულია უბრალო წერა-კითხვას, იქ მეურნეობის განვითარების დაპირდაპირება ტექნიკის განვითარებასთან შეუძლებელია. ჩვენი დროის ტექნიკა შედეგია ბუნების შესწავლისა მეცნიერებისაგან. თუ ხალხი ჩამოშორებულია ამ სწავლას, მისი შეგნება მეურნეობაში, თანამედროვე სამეურნეო იარაღების მოხმარება მისთვის ძნელია. გამოკვლევამ დაანახვა მკოდნეპირთ, რომ მონობა ინდოეთში მოისპო მაშინ მხოლოდ, როცა მონების მუშაობის შეკავშირება ახალ ტექნიკასთან უნაყოფო და საზარალო გახდა. სანამ მონა პირდაპირ თავის ხელითა და ჯანით მუშაობდა პლანტაციასზე, მისი შრომა ნაყოფიერი და სასარგებლო იყო ბატონისათვის. როცა მონა ამოუყენეს მაშინას გვერდში და მიანდეს მითი მუშაობა, აღმოჩნდა რომ მონა მომზადებული არ იყო, მაშინის ხელმძღვა-

ნელობა მას არ შეეძლო და იმისი მუშაობა ტყუილი წვალება გამოდიოდა. პლანტატორმა კარგად იცოდა, რომ ნამუშავარს გააორკეცებდა მაშინის ჩარევით მუშაობაში, ხოლო ის კი ავიწყდებოდა, თუ რამდენად გამოადგებოდა ახალ ტექნიკას მისი მონა-მუშა. ანგარიშმა ცხადად დაანახვა პლანტატორს, რომ მონას ზარალი მოქონდა და მონობისაგან გაანთავისუფლა. გამოცდილება აშკარად გვიმოტყიციებს, რომ თუ შრომის სწავლა არ ხელმძღვანელობს, თუ მშრომელმა არ იცის თვისება მასალისა, რომელზედაც შრომობს, შრომის ნაყოფიერება შემთხვევითია. მეურნეობის წარმოება დამყარებულია რეალურ ბუნების შესწავლაზე. როცა ბუნების ცოდნა გავრცელებულია ხალხში, ხალხის შრომაც ნაყოფიერია საზოგადოდ.

კერძოდ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ მანამ ჩვენი მეურნეობის ნაწარმოები ჩვენს ოჯახშივე იხმარებოდა, ჩვენი სამეურნეო ცოდნა და გამოცდილება, ჩვენს მამა-პაპათაგან ნაანდერძევი, იქნება საკმარისი იყო, მაგრამ ეხლა, როცა ამ ნაწარმოების ბაზარში გამოტანა გვჭირდება, მარტო მამა-პაპური გამოცდილება აღარა კმარობს არც მამულისათვის და არც ოჯახისთვის. რა სწავლას საჭიროებს ქართველი მეურნე დღეს, ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

ე. იოსელიანი

## „მოსავალი“-სათვის

ყველა მიწის მუშა მოწადინებული უნდა იყოს თავის ნარგავ-ნათესიდან აილოს უხვი და საუკეთესო ღირსების მოსავალი. ჩვენებური მიწის მუშაც შრომობს, რწყავს თავისი ოფლით ნია-

დაგს, მაგრამ ნაყოფს-კი ხშირად ძალიან მკირეს და ღირსებით დაბალს მიიღებს ხოლმე.

მიზეზი? ჩემის აზრით ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ის არის, რომ ჩვე-

ნებურ მუშას საკმარისი ცოდნა-გამოცდილება არა აქვს მუშაობაში.

აბა დააკვირდით ჩვენს მიწა-წყალს, ბაღსა და მიწდვრებს. აუარებელი ბაღები, ვენახები, ბოსტნები უშენებიათ და უკეთებიათ ჩვენს მამა-პაპათ. ეს მათი შრომის უტყუარი საბუთი განა არ ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ მიწა უნდა გვიყვარდეს, რომ მიწის მოსავლით გვიდგია სული!? როცა ზრდილა ჩვენი ძალა, ზრდილა იმით, რომ გვიშენებია ვაზი, ხე-ხილი, ბოსტანი, მოგვიყვანია პური, გვიკეთებია ღვინო და საკუთარი კერა გვქონია.

ამ მუშაობის დროს, მართალია, ძალღონე არ დაგვიშვრნია, მაგრამ ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ კარგად არ გვცოდნია: რას ვთვით, რას ვაშენებთ და რა ნაყოფს მოველით.

ავილოთ თუნდა ჩვენებურათ გაშენებული ხილის ბაღი, ვენახი, ბოსტანი. რას ვხედავთ? ერთ დღიურ ვენახში ასი ჯურის და ჯიშის ვაზია ჩაყრილი და ნაშენები, ძალიან ხშირათ ვაზი და ხეხილი ერთმანეთშია არეული. ერთ კალთა ადგილს დაგვირგავს: საფერავი, მწვანე, მცვივანი, თავ-კვერი, ჟღია, გრახუნა, იზაბელა, ბუხა, თითა, საკმეველა, ბუდეშური და სხვა. ხილის ბაღშიაც ასე: პანტა, მაჟალო, თურაშაული, გულაბი, კაცის-თავა, ჭერამი, ტყემალი, ლოდნოშო და სხ.

ახლა რა გამოდის აქედან? შრომა და ტანჯვა იგივეა, რაც დასკირდებოდა სარგებლიანი ხილის ან ვაზის გაშენებასა და მოვლას. დარგვა, გასხვლა, წამლობა, პატივი ჭერამსაც უნდა და ვაშლსა და მსხალსაც. სარგებლობა-კი სხვა და სხვაა: ჭერამი ორი აბაზია ფუთი და დიუშესი 8—10—15 მან.

იგივე ითქმის შინაურ ფრინველზედ, საქონელზედ და მეურნეობის ყველა სხვა დარგზე. იქნება ვინმემ იფიქროს: რამდენი საუკეთესო ნაწარმოები გვაქვს, რომ ტყუილად რჩება, ლბება და ვერ ვასაღებთო. შემცდარი აზრია! კარგი ღირსების საქონელი მეტად ადვილი ვასაყიდა. ვიცი ხშირი მაგალითები: ჩვენში მოწეული ხილი—მსხალი, ვაშლი, ყურძენი, დიდ ბაზარზედ გაყიდულა 8—10—15 მანეთად ფუთი და როცა მოუკითხავთ, აბა ამისთანა კარგი ხილი კიდევ გამოგზავნეთო,—ჩვენ მეტი აღარა გვქონია. ჩვეულება ასეთი გვაქვს: ძვირფასს და გემრიელ ხილს ბევრს არ ვაჩვენებთ ხოლმე. მე არ ვლაპარაკობ გამხმარ და სხვაგვარად დამუშავებულ ხილზედ,—ამისთანა ხილს ხომ უფრო მეტი ფასი და ვასავალი აქვს.

მართო პეტერბურგი და მოსკოვი აუარებელ ხილსა და ღვინოს ასაღებენ საზღვარგარეთიდან მოტანილს და ისიც ძალიან დიდ ფასებში. რატომ? განა იქ კარგი ხილი მოდის და ჩვენში ისეთი არ მოვა? დიახაც მოვა, უფრო კარგი მოვა, მაგრამ აქაც უცოდინარობა გვიშლის ხელს.

ნაწარმოების მცნობი ფასს როდი ერიდება. აბილისი საუკეთესო ბაზარი არ არის ჩვენი საქმურნეო ნაწარმოებისათვის. აქ ძალიან ხშირია დაბალი თვისების ხილი, ღვინო, ბოსტნეული და სხვ. ამ მხრივ ჩვენი გემოვნება მეტად დაქვეითებულია. აქ ძვირათ შეხვდებით იმისთანა პირს, რომელიც რიგიან ღვინოს ან ხილს იცნობს და მისი გემო და ფასი იცის. პეტერბურგში და სხვა დიდ ქალაქებში კი თითქოს ნამდვილი დეგუსტატორები და პომოლოგები სცხოვრობენო:

ვაშლის, ატმის, ვაზის მცენარე იქნება ნახატზედაც არ უნახავთ, მაგრამ ამა თუ იმ ჯიშის სახელიც, ფასიც და გემოც კარგად იციან.

ჩვენ წინაპარ-მამათმთავარ ნოეს დროიდან ვაზს ვაშენებთ, ღვინოს ვაკეთებთ და დღემდე იმდენი ცოდნა-გამოცდილება ვერ შეგვიძენია, რომ ჩვენმა დაყენებულმა ღვინომ კონკურენცია გაუწიოს ევროპიულ ღვინოს.

დღეს რომ მაგალითად საფრანგეთის ღვინოებზედ ბაჟი ახსნას რუსეთმა და ფრანგებს უფლება მიეცეთ თავიანთი ღვინოები უბაჟოთ შემოიტანონ გასაყიდად, ჩვენი ვენახები ლობიოთ და სიმინდათ უნდა მოვხნათ! რათა? იმიტომ რომ, საფრანგეთში ვენახის კულტურა ზედმიწევნით კარგად იციან, მოსავალი ბევრი მოსდით, ღვინოებს ძალიან გემრიელს აყენებენ და ხელ-მისაწვდენ ფასებში ყიდიან.

ამ საუბრის დასკვნა აი რაში მინდა გამოვხატო: გვეყო, რაც შეცდომა ჩავგიდენია და მცირედის ნაყოფიერებით გვიშრომია. ამის შემდეგ მაინც დავადგეთ სამეურნეო საქმეების წარმოებაში სარგებლიან გზას.

მეურნეობაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდილებას და ცოდნას. ვიდრე რომელიმე სამეურნეო საქმეს დავიწყებდეთ, მეტად სასარგებ-

ლოა მცოდნე კაცს დავეკითხოთ, რჩევა ვსთხოვოთ. როცა ვინმე სოფელში ხილის ბაღს აშენებს, მაგალითად, ჯერ უნდა შეეკითხოს მცოდნე პირს: რა ჯიშის ხეხილი აჯობებს მის სოფელში, რა ხილი დარგოს, ან მიწა როგორ მოამზადოს, შემდეგში როგორ მოუაროს და მოსავლით რაწაირად ისარგებლოს. ამ გვარად მემამულე ასცდება შეცდომას, რომელიც მეურნეობაში ძალიან ძნელი გასასწორებელია ხოლმე შემდეგში.

ეს ყველაფერი კარგი და პატიოსანია, მაგრამ სად მოვძებნოთ ის მცოდნე კაცები, რომლნიც დაუზარებლივ ამ მხრივ დახმარებას გაუწევენ ჩვენს სოფლის მეურნეს? ეს კითხვა ხშირად მედგა თვალწინ და გადაჭრილი პასუხი კი ვერ გამომეძებნა.

დღეს პასუხი ნაპოვნია—ეს „მოსავალი“-ა.

მე მწამს, რომ „მოსავალი“-ს—გარემო მოხდება შეკავშირება მეურნეობის მცოდნე პირთა და ეს შეერთებული ცოდნის ძალა ყოველივე დახმარებას გაუწევს ჩვენს სოფლის მეურნეს.

თუ რა გვარად უნდა განხორცილდეს პრაქტიკულად ეს მოსაზრება, ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

სვიმონ ხუნდაძე

## ჩემი შრომის პირველი ნაბიჯი მცხეთაში

სწავლის დამთავრების შემდეგ (მე დავასრულე კურსი ტფილისის საბაღოს სსსწავლებელში) ერთად ერთი სურვილი ჩემი ის იყო, რომ ჩემი ბაღი განეშენებინა. შეუძლებლობის გამო დიდხანს ვერ ვკიდებდი ხელს ამ საქმეს. ბოლოს გადავწყვიტე: უნდა

დავკმაყოფილდე იმ პატარა ადგილს, რომელიც მცხეთაში მაქვს—სულ 300 კვ. საჟ. მიწა მქონდა.

თუმცა ვიცოდი, რომ, როცა რომელიმე სამეურნეო საქმეს იწყობს კაცი, უწინარეს ყოველისა ჯერ უნდა შესაფერი ადგილი აარჩიოს, მაგრამ 300 კვ. საჟენი

მიწის პატრონს, ისიც ერთ ალაგას, რა არჩევანში შემეძლო შეესულიყავი. სურვილი კი ისეთი მქონდა, რომ კლდე რომ ყოფილიყო, იმასაც დანგრევას დაუწყებდი, ნანგრევზედ ბალის გასაშენებლად. დავიწყე შრომა. არ დავერიდებ არც მცხეთის ქარს, არც იქაურ გოლგას, რომელიც საშინლად აფუტებს ყველა მცენარეს, რადგან ურწყავი ადგილებია და სიცხე-პაპანაქება კი დიდი იცის ზაფხულში. არ შემეშინდა სეტყვისაც, რომელმაც აკი მჩვენა თავისი ძალა: მეორე წელსვე მიწასთან გაასწორა მთელი ჩემი ბაღი; ყოველი მცენარე, რომელიც კი ამობიბინდა ბაღში, გამინადგურა. ამის მნახველს თავზარი დამეცა. პირველად დაწყობილი საქმე და თან უფულოება და ყოველნაირი უსახსრობა. როდის რა უნდა მომესწროს მეთქი, ვფიქრობდი დაღონებული... როცა ჯავრი გადამეყარა გულს, ხელახლად შევუდექი საქმეს. ბაღი თანდათან იზრდებოდა. მასთან ერთად იზრდებოდა ჩემი აზრებიც, მემატებოდა სურვილი შრომის გაუმჯობესობისა. მცხეთაში, ამ მშვენიერ ძველს სატახტო ქალაქში, რომლის სიმშვენიერეს ხატვენ და ასურათებენ მის გარშემორ-

ტყმული მთები და კლდეები, არაგვი: და მტკვარი, სადაც აქამომდე არც ერთი ყვავილის ბაღი არ იყო, ახალი სიცოცხლე, ახალი წარმოება ყვავებოდა. დიდს გაჭირებაში და ტანჯვაში ვიმყოფებოდით, მაგრამ ჩვენს ნაშრომს რომ ვხედავდით, სიცოცხლე გვემატებოდა. გვწამდა, რომ ჩვენი საქმე უეჭველად ნაყოფს მოგვცემდა, დაგვაჯილდოებდა...

აყვავდა ჩვენ ბაღში ვარდები. დავიწყეთ ვარდის კონების კეთება. ეს კონები მიგვექონდა რკინის გზის სადგურზე და ვყიდით. შემოსავლით ვცხოვრობდით ჩვენც და ჩვენი ბაღიც.

თანდათან შევიძინეთ ყველა სხვა საჭირო მცენარეები, გაემართეთ საღუმლეები, სადაც ვზრდიდით მცენარეებს და ვაკეთებდით ნამყენებს. გაჩაჩხდა ჩვენი საქმე. ამ პატარა ბაღმა შეგვაერთა ერთ აზრად, ერთ მომქმედ ოჯახად გარდაგვაქცია მთელი სამი ოჯახი. ჩვენი საქმე გაფართოვდა. გავხსენით, ეს მეორე წელიწადია, თბილისში, თამამშვევის ქარვასლაში ყვავილის მაღაზია „სოლეილდორ.“ ვცდილობთ დავაკმაყოფილოთ ხალხის მოთხოვნილება და ჩვენი თავიც ვირჩინოთ ამით.

**მ. მამულაშვილი**

## მევენახეთა საყურადღებო კითხვა კახეთში

კახეთს უახლოვდება ფილოქსერა — კირი ყველა კირზედ უარესი. ეხლავე გვმართებს გამაგრება, თორემ ბოლოს გვიანდა იქნება. ერთად ერთი ციხე-სიმაგრე ამ კირისაგან დამფარავი, ამერიკული ვაზია. ხოლო როგორც ჩვენში ვაზი სხვა და სხვა ნაირია — რქაწითელი, საფერავი,

მწვანე და სხვა, ისე ამერიკული ვაზია სხვა და სხვა ჯიშისა და რადგან ყველა ჯიშში თავის შესაფერ ნიადაგს თხოულობს, რომ კარგად იხაროს, ამიტომ ჩვენ წინა სდგება დიდად საყურადღებო კითხვა: რომელ ნიადაგისთვის კახეთში რომელი ჯიშის ამერიკული ვაზის იქნება სამჯობინარი და რო-

**მელი ჩვენებური ვაზი უნდა ემყნოს მასსზედ, რომ არც ღირსებით და არც სხმოიარობით არა ევენოს რა?**

ამ ფრიად საყურადღებო კითხვის გარდასაწყვეტად კახეთში დღემდე არაფერი ისეთი არ ვაკეთებულა, რომ კაცმა გაჭირებაში გამოიყენოს.

მხოლოდ წელს შეუდგნენ ამ კითხვის შესწავლას, დაიწყეს რამდენსამე ადგილას ცდა. სხვათა შორის სოფ. კარდანახში, გრაფი შერემეტიევის მამულშიაც დავრგეთ ერთ კორომ ადგილში რამდენიმე ჯიში ამერიკული ვაზისა, რომელთზედაც ნამყენია და ნახარებია ჩვენებური ვაზის სხვა და სხვა ჯიში. შემუშავებული გვაქვს პროგრამა, როდის როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ბოლოს, როცა ჩვენ ცდასა და დაკვირვებას ბოლომდე მივიყვანთ, უტყუარი რამ დასკვნა გამოვიყვანოთ სასარგებლო.

ასე მაგალითად: ზაფხულში დაენიშნავთ, რომელი ჯიშის ვაზი როგორ იზრდება; შემოდგომაზედ ყურძნის წვენს გაუზომავთ სიმჟავესა და შაქარს; როცა დაიდუღებს, ღვინოს სიმაგრეს (სპირტს) გაუშინჯავთ; შემდეგ,

ამ ღვინოს რამდენიმე წელიწადი შევინახავთ სარდაფში და აღვნიშნავთ მის ცვლილებებსა და გამძლეობას. მხოლოდ შემდეგ ამ ცდისა და დაკვირვებისა, მიიღება ისეთი მასალა, რომელიც მოგვცემს საშუალებას სწორედ დავძინოთ: რომელ ნიადაგს კახეთში რომელი ამერიკული ვაზი მოუხდება და რომელი ჩვენებური ვაზი უნდა ემყნოს მასსზედ.

გარდა ამისა, მე დავიწყე წლეულ ცდა ნიადაგზე, რომელიც კირნარევი თიხა მიწას წარმოადგენს. ახრად მაქვს შევისწავლო, განსაკუთრებით ამ ნიადაგზე რომელი ამერიკული ჯიში როგორ ხარობს.

გრაფ შერემეტიევის მამულში ერთ პატარა ადგილზე, უკვე გვქონდა ჩაყრილი ამერიკული რუპესტრის დიულოტ, რომელზედაც ნამყნობია რქაწითელი და საფერავი. ვაზებს გასაოცრად გამოაქვთ ყლორტი და გაგიჟებით იზრდებიან. ყვავილში ვაზი არ იბერტყება (ყვავილი არა სცვივა), მტევნებს დიდსა ზრდიან. შემდეგში რა იქნება, გამოჩნდება.

**3. ავერკინი**

**კრიზისი მედიკოზის კახეთში**

კარგა ხანია რაც რუსეთში ეგრედ წოდებული მედიკოზის კრიზისია.

ხოლო ჩვენში კი ჯერ იგი ახალი სტუმარია, სულ 5—6 წელიწადია, რაც გვეწვია, მაგრამ; როგორც ვტყობა, კარგი ნიადაგი დახვდა მას აქ და მკვიდრ მოსახლედ გარდაიქცევა.

ყველანი ვგრძნობთ ამ უბედურებას, მაგრამ აქაო და ნათქვამია—ყველა ჭირს გაძლება უნდაო.—როდი რამეს ვზრუნავთ ამ ჭირის თავიდან ასაცილებლად.

თითქოს მართლა გვეგონია რომ იგი თავის-თავად მოგვშორდება და არც არას მაგდენს გვავენებს.

გვავიწყდება, რომ ჩვენი სამშობლო სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა, რომ ეს მეურნეობა შეადგენს ჩვენს კეთილდღეობის ბურჯს და თუ ამ ბურჯს ხელიდან გაუშვებთ, ისეთი წყალ-წადებულეები შევიქნებით, რომ ხავსიც არ გვქონდეს ხელ-ჩასაჭიდი.

ასეთი მოსალოდნელი შედეგი იძუ-



ლებულ გვხდის მეღვინეობის კრიზისის ანგარიში გაუწიოთ აქედანვე.

ერთი უმთავრესი მიზეზი ამ კრიზისისა იმაში მდგომარეობს, რომ არ ვიცით: როგორ დავაყენოთ ღვინო და როგორ შევინახოთ ისე, რომ მალე არ დაგვიძმარდეს, არ გაგვიფუტდეს. ღვინის დაყენება და მოვლა რომ ისე გვცოდნოდა, როგორც ეხლა რუსეთის ზოგიერთმა მეღვინეებმა და საზღვარგარეთელებმა იციან, იქნება კრიზისი სრულიად არ ჩამოვარდნილიყო ჩვენში. ისეთი მკაცრი ხომ მაინცა და მაინც არ იქნებოდა, როგორც ეხლა არის.

კახეთშიაც კი, სადაც საზოგადოდ მეღვინეობა და მევენახეობა უფრო მაღლა სდგა, ვიდრე ჩვენი ქვეყნის სხვა რომელსამე კუთხეში, ყველა მკვიდრი მცხოვრები ისევ მამა-პაპურ ჩვეულებას მისდევს მეტ წილად, ისევ „ძველებურათაო ჩვენებურათაო“-ს გაიძახის თავმომწონე.

იმას არა ფიქრობენ, რომ ცხოვრება წინ მიდის, იცვლება მოთხოვნილება.

ისეთი ღვინო, რომელიც მარტო ათრობს, აღარ აკმაყოფილებს ადამიანს. პირიქით, როცა ღვინოს ბევრი სპირტი აქვს, სწუნობენ მას კიდევაც, რადგან ღვინო, როგორადაც სხეულის ჯანმთელობისათვის საჭირო ნივთიერება, უნდა ადვილი და სასიამოვნო, გემრიელი სასმელი იყოს და არა მქაზი მათრობელი. პირველი ღირსება ღვინისა ეხლა მისი სიმაგრე კი არა სიგემრიელე არის და გემოვნება კი მუდამ ერთი და იგივე არა რჩება, არამედ კაცობრიობის კულტურულ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული, მის განვითარებასთან ერთად იცვლება.

ამიტომ მსოფლიო ბაზარი იმ მწარმოებლის ხელშია დღეს, ვისაც ზედმიწევნით შეუსწავლია მომხმარებლის შეხედულობა საქონელზე, სწორედ აულია ალღო იმის გემოვნებისა და ამ გემოვნება-შეხედულობასთან შეუთანხმებია თავისი ნაწარმოების მომზადება.

ხოლო, მკითხველო, არ გეგონოს, რომ რაკი ვამბობთ: მამაპაპათაგან შესწავლილი ხელი მევენახეობისა და მეღვინეობისა დღეს შეცვლას თხოულობს, რომ დღეს რუსეთისა და ევროპიელების მევენახეობა და მეღვინეობა ჩვენსაზე მაღლა სდგას, ამით იმის თქმა გვინდოდეს, ვითომ ჩვენ უნდა სრულიად უარყუოთ ჩვენი მევენახეობა-მეღვინეობა და საესებით შემოვიღოთ ის, რაც სხვას, თუნდაც ჩვენზე დაწინაურებულ ხალხსა, აქვთ. სრულიადაც არა. ის ცოდნა-გამოცდილება მეღვინეობაში და მევენახეობაში, რომელიც ჩვენა გვაქვს, შედეგია მთელი საუკუნოების პრაქტიკა-გამოცდილებისა და ამიტომ მეტად ძვირფასი საუნჯეა ჩვენთვის როგორც მასალა ამ დარგთა წარმატებისათვის. დიდი შეცდომა იქნება რომ ევროპიულად დავაყენოთ ღვინო, იქაურად გავსხლათ ვაზი, იქაური ჯიში ვაზისა გავამრავლოთ და ჩვენებურად ღვინის დაყენება, ვაზის გასხვლა, ჩვენებური ვაზები სრულიად მოვსპოთ. ასეთ წაბაძვას არც პრაქტიკული და არც თეორიული საფუძველი აქვს და თუ ვისმე ოდესმე გამოუთქვამს მომხრეობა ასეთი წაბაძვისა, კარჩაკეტილში მოუფიქრებია მას ეს აზრი და არავითარი დამოკიდებულება არ ქონია ჩვენს მეღვინეობასთან.

ვაზის მოვლაც და ღვინის დაყენებაც დაკავშირებულია ჰავასთან, ნიადაგთან და ყველა იმ ბუნების პირო-

ბებთან, რომელშიაც იზრდება ვაზი და უკეთდება ყურძენს წვენი.

ძირიანად შეცვლა ერთისა, თუ არ შეიცვალა მეორე, შეუძლებელია. და არც, ღვთის მადლით, საჭიროა, რომ კიდევაც შეიძლებოდეს, ჩვენი სამშობლოს ბუნებრივი პირობების შეცვლა, რადგან სიმშენიერე და ჰარმონია ამ ბუნებისა ყველასაგან ცნობილია და მოსაწონი.

აქაურ ჰავას და მიწაწყალს მუდამ ძალუძთ შექმნან მოსავალი ყოველი ღირსებით უმაღლესი ხარისხისა, ოღონდ ხელი შეუწყოს ცოდნა-გამოცდილებით შეიარაღებულმა ადამიანმა. მაგრამ არა. ჩვენ სხვა ფრივ ვართ მარჯვები. რაც გვაქვს, იმის დაწუნება და უკუგდება, მაგიერ გაუმჯობესობისა, რაც ცოდნასა და გამარჯვლობასა თხოულობს, ადვილად გვეხერხება.

განა გვაქვს რომელიმე დარგი ჩვენი მეურნეობისა გამოკვლეული და შესწავლილი. რომელ რაიონში რომელი კულტურაა შესწავლილი, ან სად არიან ის დაწესებულებანი კერძო თუ საზოგადოებრივი, სად არიან ის პირნი, რომელნიც მოფენენ ნათელს ჩვენს სასოფლო მეურნეობას თავიანთი სისტემატიური მუშაობით? არსად. ყველა თითქმის განგებ გაურბის ამ შრომას და შორიდან გვასწავლის, აი ასე, ამ ნაირად უნდა იყოსო. რომ კითხოთ: ასე რათა და არა ისე? მოგიგებთ: იმიტომ რომ ასე უნდაო. ამ „ასე უნდა“-ს მეტი მას სათქმელი არა აქვს-რა.

ასეთი მოძღვრობის შედეგი იყო მაგალითად ის, რაც ამ ბოლო წლებში კახეთში მოხდა. ჩვენ ვამბობთ ვაზის გასხვლის შესახებ. მითომ იმ აზრით, რომ კრიზისი შებრძოლოდნენ, ზოგი-

ერთმა შემამულეებმა თავი მიანებეს ჩვენებურ სხვლას და ევროპიულად გასხლეს ვენახები. ფიქრობდნენ: მოსავალს ბევრს მოვიყვანთ და ღვინოს იაფად გავყიდით ადვილადაო.

რა გამოვიდა? არაფერი. ისევ დაუბრუნდნენ ჩვენებურ გასხვლას, რადგან მოსავლის გაბევრებით ღვინის ღირსებამ იკლო და ამ უკანასკნელმა გარემოებამ კი განაძლიერა ყველა ის პირობები, რომელნიც ღვინის ფასს აფოლებენ და თითქმის საზარალოდ ხდიან მევენახეობასაც და მეღვინეობასაც.

შემცდარი აზრია, ვითომ ვენახის კარგად შემუშავების შედეგი იყოს ღვინის გაიაფება.

შემუშავებელი ვენახი ვერ მოიცემა კარგ ნაყოფს. ვაზი თუ დაავადებულია, მისი ნაყოფიც უვარგისია. უპირველესი შემადგენელი ნივთიერება ყურძნის წვენისა შაქარია, რომელიც დუღილით სპირტით გადაკეთება ხოლმე. ეს შაქარი კეთდება ყურძნის მარცვალში ვაზის წინა წლით შემუშავებულ და შენახულ ნივთიერებებისაგან და წლევანდელი ფოთლის მუშაობისაგან. კარგად მოვლილი ადგილობრივ პირობების თანახმად ვაზი, უფრო ბევრს და ღირსებით მაღალ ხარისხოვან საზრდოს მოამზადებს და შეინახავს განისისათვის, რასაც შედეგად რასაკვირველია, უხვი და ნორმალური ხარისხის ნაყოფი მოყვება და ღვინოც ბლომად და კარგი დადგება.

ბევრს გონია, რომ როცა ღვინო ბევრი მოვა, ღირსებით დაბალი გამოვა და როცა ცოტაა—მაღალი ღირსებისა. თუ ვნებავთ, ასეც არის ხოლმე, მაგრამ ასეა იქ, სადაც ნორმალური პირობები ვაზის კულტურისა გარდაქ-

მნილია არა ნორმალურ პირობებთან, ვინაიდან, რაც ვაზი კარგად იქნება შემუშავებული თანახმად ადგილობრივ ბუნების პირობებისა, იმდენად ამ ვაზის ნაყოფის ღირსებაც მეტი იქნება, მიუხედავად იმისა, დიდია მოსავალი, თუ პატარა.

მაშასადამე, ამოცანა იმაში ყოფილა, რომ სწორე ანგარიში გაუწიოთ

### ამ ადგილობრივ ბუნების პირობებს, შევქნათ რაიონული მეურნეობა.

შემდეგ წერილებში ვეცდებით უფრო ნათელ ვყოთ ბნელი მხარე ჩვენი მეურნეობისა იმ იმედით, რომ იქნება ჩემა შრომამ სხვების შრომასთან ერთად სადავე ჩვენის ცხოვრებისა იქით მისწიოს ცოტათი მაინც, საითაც საჭიროა.

გ. მჭედლიშვილი

## მეურნეობის მტრები

მცენარეები, როგორათაც ცხოველები, ბევრგვარი სენით ხდებიან ავით. მცენარის ავთამყოფობა და მისი დაუძღურება წარმოსდგება ერთის მხრით მიწის ცუდი თვისებიდან, ყინვისაგან და სხვადასხვა უჩინარი სოკოებისაგან, რომლებიც საზოგადოთ ჰაერში სცხოვრობენ. მეორეს მხრით მცენარეს არა ნაკლებ აზარალებენ ზოგიერთი მწერები, ფრინველები და ცხოველები. ჩვენდა საბედნიეროდ, მეცნიერებას არც ეს საგანი დარჩენია გამოუკვლეველი; მან კარგა ხანია ზედმიწევნით გამოიკვლია მცენარეთა ავთამყოფობა, შეისწავლა მისი მტრები და ყველა მათგანს თავის შესაფერი წამალიც გამოუჩინა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ყოველ წელს ახალ-ახალი სნეულება უჩნდება ვენახებსა და ხილის ბაღებს, ჩვენ მაინც ცოტა ყურადღებას ვაქცევთ, მეტადრე ხეხილის წამლობას. სიმართლე კი რომ ესთქვათ, ჩვენს ქვეყანაში მებაღეობა ბევრგან უფრო ხელმამკეშია, ვიდრე ვენახი. ამისათვის განვიზრახე განსაკუთრებით ხეხილის ავთამყოფობების და მისი სხვა მტრების მოკლე აღწერა და მათი წამლობა.

### ვაშლი და მისი მტრები.

ვაშლის ჩრჩილი, ზოგან ვაშლის მატლს უწოდებენ, ქართლში ბღუნძელას ეძა-

ხიან. პატარა პეპელა, რომელსაც თეთრი ფრთები აქვს და ფრთების ზედა პირზედ ორ რიგად შავი წინწკლები აყრია, დაახლოვებით თიბათვის ნახევარში სდებს კვერცხებს, რიცხვით 20—60. კვერცხებს მომეტებულ ნაწილად ვაშლის პატარა ტოტებზედ სდებს. ერთი თვის შემდეგ ამ კვერცხებიდან იჩეკებიან პაწაწინა მატლები, რომლებიც ამავე წელიწადს ხეს არაფერს ავინებენ, რადგან არ იზრდებიან, და ამ გვარად რჩებიან მეორე გაზაფხულამდის. გაზაფხულზედ კი, რამწამას კვირტები იწყებენ გაშლას, მატლები თავს ანებებენ თავიანთ ზამთრის ბინას და გადადიან საცხოვრებლათ ნორჩ და ნახევრად გაუშლელ ფოთლებში, რომლებსაც დიდის სიხარბით დაუწყებენ ჭამას. მესამე ან მეოხე დღეს, ადვილათ შეატყობს კაცი, რომ მათგან შექმულ ფოთლებს სულ სხვა ფერი ედებათ, ცოტათი წითლდებიან, ნაპირები ეხრუკებათ, თითქოს თრთვილს მოუთუთქავსო. აქ რომ გაუთავდებათ საკვები, ახლა სხვაგან გადადიან. ცოტას წამოიზრდებიან თუ არა, შემდეგ გაშლილ ფოთლებზედაც იწყებენ ხოლმე მოგზაურობას. ამ შემთხვევაში რამოდენიმე ფოთოლს აბმენ თეთრ ქსელ-

**სეხილვა რაღა დაჰაჰვა!**

ში და შიგ იკეთებენ ბინას. ფოთლების ქამას მუდამ პატარა ტოტების წვერიდან მოსდევენ. ერთ ტოტს რომ მორჩებიან, ახლა მეორეს მიჰყუფენ ხელს. ასე მისის ნახევარში ანუ თიბათვის პირველ რიცხვებში მატლები უკვე ანებებენ ფოთლების ქამას თავს და ეხვევიან პატარა პარკებში. ამ პარკებიდგან ორი კვირის შემდეგ გამოდის კვერცხის მდებელი პეპელა, რომელზედაც ზევით მქონდა მოხსენებული. ვაშლის ჩრჩილი ანუ მატლი პატარაა, სულ 1/2 ვერშოკის სიგრძე აქვს, ბაცი მოყვითალო ფერისაა, თავი შავი აქვს. წელზედაც მრავალი წვრილი მოშავო ბუსუსი აქვს ამოსული. ვაშლის ჩრჩილს უყვარს უფრო გოლვიანი წელიწადი. საზოგადოთ მატლების მოსასპობათ ისეთი წამლებია გამოგონილი, რომლებიც მათ სწამლავენ. წამლები სხვადასხვა ნაირია, მაგრამ ყველაზედ უკეთესი და ნამდვილი ერთგვარი მუქი მწვანე ფერის კოლტფენილია, რომელსაც შვეინფურტის სწამლავს უწოდებენ სახელად. არის მეორე გვარი წამალიც, რომელიც სარეცხი საპნის და ნავთის შეზავებით კეთდება. ეს უკანასკნელი უფრო ძვირად ჯდება, ვიდრე ზემოხსენებული საშუალება. წამლობის დროს, უნდა ეცადნეთ, იმ დროს შეასხათ წამალი, როდესაც მატლები ჯერ ისევ პატარები არიან, რადგან უფრო მალე იხოცებიან.

ორი წამლობა საკმარისია. წამლობის დროს თუ წვიმა მოვიდა, მესამეთაც უნდა ეწამლოს.

**წამლების მომზადება:**

- შვეინფურტის სწამლავი . . . 1 გირ.
- წყალი . . . . . 40—50 ჩაფი
- კირი წმინდათ გაცრიალი . . . 1 გირ.

ყველა აურიეთ ღ ასხურეთ ფოთლებზედ. რადგანაც ზემოხსენებული საწამლავი შხამია, ამისათვის წამლის შეზავებისა და წამლობის დროს სიფრთხილით უნდა მოიქცეთ, რომ არ მოიწამლნეთ.

**მეორე გვარი წამალი**

- აიღეთ:
- სარეცხის სპონი . . . . 1/2 გირ.
- ცხელი წყალი . . . . . 6 ბოთლ.
- ნავთი . . . . . 12 ბოთლ.

საპონი უნდა ჩაიქრას ცხელ წყალში და კარგათ ურიოთ, რომ გაიხსნას. შემდეგ უნდა ჩაასხათ 12 ბოთლი ნავთი და ამის შემდეგაც კარგათ ურიოთ, ვიდრე მაწონივით გახდებოდეს. როდესაც გინდათ იხმაროთ, ასე უნდა მოიქცეთ: თუ ხე ყვავილშია, მაშინ უნდა აიღოთ 1 ბოთლი ამ წამლისა და გახსნათ 15—20 ბოთლ თბილ წყალში და ასხუროთ. თუ ხე დაყვავილებულია, მაშინ ორი ბოთლი შეზავებულ წამლისა გახსენით 10 ბოთლ წყალში და ისე ასხურეთ.

**გიორგი ნახუცრიშვილი**

**სეხილვა რაღა დაჰაჰვა!**

ხენათესვა, ვენახი, ძროხა, ცხვარი, აი უმთავრესი დარგნი მეურნეობისა, რომელსაც მისდევს ჩვენი ხალხი. აბრეშუმის ქია და ფუტკარი—ეს ისე, ზედმეტი ხელობაა. უფრო საქა-

ლო საქმეა ჩვენში. თუნდა თავთავზე წასულან რძალ-დედამთილი და იმით შეუძენიათ ერთი-ორი გროში, თუნდა ქიაბოში რგებიათ—ორიოდე ხაიათი. ამ მონაგარს გინდ ქმარი იყოს, გინდა

მაზლი, მამა ან მამამთილი, სულერ-თია, ვერავინ ვერ შეეცება, რადგან ეს საოჯახო შემოსავალი არ არის.

ბოსტანი, ჰო! საოჯახოა. თუ რამე ესხა მსხალს, ვაშლს, კაკალს, — ისიც საოჯახოა.

„თუ რამე ესხა...“ ამიტომ, რომ ხეხილი ასეა... ხან დაისხამს, ხან არა. ან კი შესაძლებელია, რომ კარგი ჯიშის ვაშლს, მსხალს ყოველ წლივ კარგა ესხას?

რომელ მამულის პატრონს არ უდგა ეზოში, ვენახში, მინდორში მსხალი, ვაშლი, ატამი და ბევრი სხვა ხეხილი, მაგრამ აბა ჩაეკოთხეთ. ყველანი პირადებით ასე ფიქრობენ, რომ მსხალი, ვაშლი და ყველა სხვა ხილი ხან დაისხამს, ხან მოსცდება. ეს „ხან მოსცდება“ ჩვეულებრივი და აუცალე ბელი მოვლენაა ყველას შეხედულობით ჩვენში!

როცა პურის, ქერის, სიმინდის მოსავალი ტყუის, ან ვენახს არ ასხია, ეს იმიტომ, რომ დროზე ვერ უწამლეს, ვერ მორწყეს, სასუქი ვერ დააყარეს, ვერ დაბარეს, ვერ გათოხნეს ან ამინდი არ დაუდგა: გოლვამ დაწვა, წვიმამ დააღპო, ქარმა წაახდინა და სხვა და სხვა მიზეზები იყო.

როდესაც მსხალმა და ვაშლმა არ დაიხა, თუმცა არც ქარი იყო, არც გოლვა, თუმცა მინდვრის მოსავალიც კარგი იყო და ვენახისაც? რატომ? — იმიტომ, რომ ხილმა ესე იცის: ხან დაისხამს, ხან არა... როგორც შვინდი ტყეში. მინდვრის მოსავალიც, აბაიმე, კარგია და ვენახისაც. მაშ კლიავს, მსხალს, ატამს რატომ აღარ უნდა ესხათ კარგად? მაგრამ ესეა წესი... ხილი ყოველ წლივ როდი დაისხამს!

ასე სჯის და ასე ფიქრობს უმრავლესობა ჩვენი ხალხისა. ის კი იციან რომ, ხეხილი, რომ არ გახმეს, ხანდისხან შემობარვას თხოულობს, მაგრამ რომ ხან ისხამს და ხან არა — ეს ბუნების დაურღვეველ წესათ მიაჩნიათ.

ზოგიერთებმა, რომელთაც ხეხილის მოვლა ჩვენებურად, შინაურულად იციან, იციან, რომ ხეს ზოგჯერ გაკრეჟაც უნდა, ამობარვაც, მორწყვაც. წამლობაც. ხოლო, რომ ხეხილს ამაზე მეტი კიდევ სხვაც უნდა რამე, ეს კი ვერ წარმოუდგენიათ. იშვიათად ვინმემ იცის, მაგალითად, რომ ხეხილს უნდა სასუქი.

პირიქით ბევრს გონია, რომ სასუქი ხეს არ კი არგებს, აწყენს, რადგან ადვილად უჩნდება ხეს, სასუქი რომ მოეყაროს, სხვა და სხვა სატკივარი და მწერი მტერი.

ჩვენებურმა მებაღეებმა როდი იციან რომ ხეხილს თუ ყოველ წლივ არ მოაქვს ნაყოფი, ეს იმიტომ, რომ ნიადაგში, საიდანაც მცენარე კრეფს თავისი ფესვებით საჭირო ნივთიერებებს, ეს სასაზრდოებელი ნივთიერებანი იღევიან, ნიადაგი იფიტება და სასუქსა თხოულობს. როდი იციან მათ, რომ როცა ხეხილის მცენარეს ბლომად ასხია ნაყოფი, იმ ზაფხულს ხეს მეტი საზრდო უნდა, რომ გამოტანილი ნაყოფიც გაზარდოს და საგაისოთაც მოემზადოს ახალი ნაყოფის გამოსატანად. თუ მცენარეს საკმარისი საზრდო აღარ აქვს ნიადაგში, მომავალ წელს იგი მარტო ტანის გაზრდაზე გადაივლის და ნაყოფს ან სრულიად არ გამოიტანს, ან და კარგად დაიყვავილებს, ნაყოფსაც ბევრს გამოსახავს, მაგრამ გამოსახულს ვერ გა-

ზრდის და გასცივია. დამშვევაში ჩავარდნილ მცენარეს ნაყოფის გაზრდის თავი როდელია ექნება.

საკვირველია ღმერთმანი! როცა ადამიანს, პირუტყვს, ვაზს, ხორბლის მცენარეს მოშვივით, ვიცით რომ უნდა მივეშველნეთ: მეტი საზრდო მივაწოდოთ. ხეხილის შესახებ კი საზრდოების საჭიროებაც ვერ წარმოგვიდგენია. ხეხილმა რაღა დააშავა!

სულ სხვანაირად ფიქრობენ ისინი, ვისაც ხეხილის მოვლა-გაშენებაში საფუძვლიანი ცოდნა-გამოცდილება აქვთ. აი მაგალითად რას ამბობს გამოჩენილი მცოდნე ამ საქმისა პ. ვაგნერი.

„სალი ხე, რომელსაც საზრდო უხვად აქვს, უფრო ადვილად ეპრძვის გოლვას ნიადაგში ღრმად წასული ფესვებით და ბლომად გამოტანილი მწვანე ფოთლებით კიდევ უფრო ადვილად გადურჩება

ხოლომე იმ ვნებას, რომელსაც მოუტანდა ნიადაგში ჩამდგარი წყალი, რადვან ეს ფოთლები ამ წყალს ნიადაგიდგან სწევენ მაღლა და აორთქლებენ.“

დღეს სამეურნეო მეცნიერებამ და ტექნიკამ კარგად იციან ყველა გაჭირება მცენარისა და სახსარიც ამ გაჭირებიდან დახსნისა. როცა ხე ვერ იზრდის ტანს, ამას ერთი მიზეზი და წამალი აქვს; როცა კარგად ვერა ყვავის და ნაყოფი ბლომად ვერ გამოაქვს, ამას სხვა მიზეზი და წამალი აქვს; როცა გამოტანილი ნაყოფი სცივია ან ვერ იზრდება და ვერა მწიფდება საჭმარისად, ამასაც სხვა მიზეზი და წამალი აქვს.

ყველა ამ გაჭირებებს ადვილად მოევლება იმ საშუალებებით, რომელნიც დღეს სამეურნეო ტექნიკას აქვს გამოკვლეული და რომელთაც ცოტ-ცოტაობით გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

გ. შ—ელი

## კითხვა და პასუხი

**კითხვა.** ქაღალტონი რომანოვსკიაი კითხულობს ქაღაქ გორიდან:

გორში და მას ახლო ადგილებში ატმებზე და ბლებზე გაზნდა და ძალიან გამოწვლდა ერთგვარი ჭია, რომელსაც ესეთი ნიშნები აქვს: შვიდი წვეილი ფესვი — სამი წვეილი წინ და ოთხი უკან; თავი შავი აქვს, მუცელი მუქი — ნაცრის ფერი, აქეთ-იქით გრძელი უღვაშები; ზურგზე თავიდან ბოლომდე ერთი შავი ზოლი აქვს გავლილი, გვერდებზე თითო უვითელი ზოლი. როცა სრულად იზრდება, ერთი გოჭი სიგძე აქვს.

ჭია დიდ ვნებას ძდევს ხეხილს. გვაცნობეთ რათა ეწამლება?

**პასუხი:** როგორც ეტყობა ჭია ეგრედ წოდებული бояришница არის. ამ ჭიის წინააღმდეგ იმხარება:

1. შვეინფურტის საწამლაი (8 ვედრო წყალზე იღებენ 6 — 9 მისისად საწამლავს).
2. ვასპნული ნავთი (ასე მზადდება: აიღებენ  $\frac{1}{2}$  გირ. სპანს, 12 გირ. ნავთს და 6 გირ. ადულებულ ცხელ წყალს და გაქნიან ერთმანეთში კარგად. ხმარება ისე უნდა, როგორც ამ შურნალის 13 გვერდზე არის ნათქვამი).
3. კარბოლინეუმს ასხურებენ.
4. თეთრი ნიშადური (3 ვედრას წყალზე ერთი გირფანქა თეთრი ნიშადური და 2 გირ. კირი).

გარდა ამისა უხდა თავლეური ადევნის გაზაფხულზე ამ ჭიას და სხვა ფოთლებზე და ხას ტოტებზე გადავა-გადმოვა მისი ქსელები და ბუდე ჩამოიდოს ხიდან და დაწვას.



# საეურადღებო ცნობები

**შაბიამნის წამლის შეზავება ვენახის მოხაწამლად.** რადგან ეხლა დროა ვენახების შაბიამნით წამლობისა, მოგყვავს ცნობა შაბიამნის წამლის შეზავების შესახებ. წამალს ასე ამზადებენ:

- 1.—შაბიამანი . . . . . 6 გირ.  
წყალდაუსხმელი კირი . . . 4 გირ.  
წყალი . . . . . 17 ვედრა  
**ან ასე**
- 2.—შაბიამანი . . . . . 6 გირ.  
წყალდაუსხმელი კირი . . . 4 გირ.  
წყალი . . . . . 12 ვედრა.  
**ან ასე**
- 3.—შაბიამანი . . . . . 5 გირ.  
წყალდაუსხმელი კირი . . . 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> გირ.  
წყალი . . . . . 8 ვედრა  
**ან ასე**
- 4.—შაბიამანი . . . . . 7<sup>1</sup>/<sub>3</sub> გირ.  
წყალდაუსხმელი კირი . . . 3<sup>2</sup>/<sub>3</sub> გირ.  
წყალი . . . . . 8 ვედრა.

ამ ოთხ სხვადასხვანაირ შეზავებაში ყველაზედ სამჯობინარი პირველ წამლობისათვის, როცა ფოთოლი ვახისა ჯერ ნორჩია, მეორე ნაირი შეზავებაა და მეორე და მესამე წამლობისათვის მესამე ნაირი შეზავება.

**ფუტკრის დაზიანება ქიზიყში.** სიდნაღის მაზრის მომრიგებელ-მოსამართლემ თავადმა ა. ჯორჯაძემ შეატყობინა ჩვენს რედაქციას, რომ ქიზიყში ფუტკარი საშინლად დააზიანა სიდამპლემ (ГНИЛЕЦЬ).

ზოგიერთებს, მაგ. ერთ ღვედელს, გადურჩენია ამ სენისაგან თავისი ფუტკარი ფორმალინის დაბოლებით, ხოლო რადგან ხალხმა არ იცის არც ფორმალინის თვისება, არც როგორ უნდა ეწამლოს იმითი, ბანი ჯორჯაძე გეთხოვდა წერილში გვეწუამდგომლნა ვისთანაც ჯერ არს, რომ ინსტრუქტორი გაგზავნილიყო აქედგან სასწავლებლად როგორ უნდა ეწამლოს ხსენებულ სენს.

რედაქციის შუამავლობით ინსტრუქტორი უკვე გაიგზავნა.

# გ ა ნ ც ხ ა ღ ე ზ ა ნ ი

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში ადგილობრივი ფასები წამლებზე და სხვა და სხვა სამეურნეო იარაღებზე ასეთია წელს:

- შაბიამანი ფუთი . . . 3 მ.— 80 კ.
- გოგირდი „ბუდე“ . . . 1 მ.— 75 კ.
- პულვერიზატორი ვერმორელისა ცალი . . . . . 12 მ.— „
- საბერველი — ტორპილი № 1 ცალი . . . . . 8 მ.— 50 კ.
- ვახის შესაყელი „რაფი“ გირვანჯა . . . . . „ — 20 კ.
- შვენფურტის საწამლავი პაჩკა . . . . . „ — 80 კ.
- ფხვნილი „ეკლერ“ პაჩკა. 1 მ.— 25 კ.

მსურველთ სამეურნეო საზოგადოება ეხმარება სხვა და სხვა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების გამოწერაში, და აგრედვე თესლეულობისა და სასუქის ამორჩევაში და ყიდვაში.

ყოველ გვარ შუამავლობას სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოებების შეძენა-გასაღებაში პირდება თავის მკითხველებს „მოსავლის“ რედაქციაც, რომელიც ამ გვარ დახმარებას დიდათა სთვლის და დიდ ყურადღებასაც მიაქცევს.